



საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

საფინანსო ხელშეკრულება სტუდენტთან
(დოქტორანტურა)

ხელშეკრულება

ქ. თბილისი

„_____“ _____ 20__ წ.

ერთი მხრივ, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, წარმოდგენილი მისი რექტორის, **დავით გურგენიძის** სახით (შემდგომში „**უნივერსიტეტი**“), და მეორე მხრივ, _____, პირადი ნომერი _____ (შემდგომში „**სტუდენტი**“) ვმოქმედებთ რა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, უნივერსიტეტის წესდების (შემდგომში წესდება), „ეთიკის კოდექსისა და დიციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების“ (შემდგომში ეთიკის კოდექსი) და უნივერსიტეტის შინაგანაწესის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას და ვთანხმდებით შემდეგზე:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად, სტუდენტი კანონმდებლობით დადგენილი წესით ჩაირიცხება უნივერსიტეტში და სწავლას დაიწყებს ----- სასწავლო წლის ----- სემესტრიდან -----

ფაკულტეტის

სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე _____ -
(შემდგომში – პროგრამა), ხოლო უნივერსიტეტი, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, უზრუნველყოფს სტუდენტის სასწავლო მომსახურებას, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესისა და პირობების შესაბამისად.

მუხლი 2. სტუდენტის უფლებები

სტუდენტს უფლება აქვს:

- ა) მიიღოს ხარისხიანი განათლება;
- ბ) უნივერსიტეტის წესდებით, შინაგანაწესითა და დებულებებით დადგენილი წესით თანაბარ პირობებში ისარგებლოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური, საბიბლიოთეკო, საინფორმაციო და სხვა საშუალებებით;
- გ) შეიჩეროს და აღიდგინოს ან შეიწყვიტოს სტუდენტის სტატუსი;
- დ) საყოველთაო, პირდაპირი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით აირჩიოს წარმომადგენელი და არჩეულ იქნეს სტუდენტურ თვითმმართველობაში, ასევე უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის მართვის ორგანოებში წესდების შესაბამისად;
- ე) თავისუფლად დააფუძნოს ან/და გაერთიანდეს სტუდენტურ ორგანიზაციებში თავისი ინტერესების შესაბამისად;
- ვ) თავისუფლად გამოხატოს საკუთარი აზრი და დასაბუთებული უარი თქვას იმ იდეათა გაზიარებაზე, რომელსაც სთავაზობენ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას;
- ზ) ისარგებლოს მობილობის უფლებით საქართველოს კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესით;
- თ) საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად სახელმწიფოსგან, უნივერსიტეტისაგან ან სხვა წყაროებიდან მიიღოს სტიპენდია, ფინანსური ან მატერიალური დახმარება, სხვა სახის შეღავათები;
- ი) მონაწილეობა მიიღოს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, შეფასებისა და განვითარების პროცესში;
- კ) პერიოდულად მოახდინოს აკადემიური პერსონალის მუშაობის შეფასება;
- ლ) ჩაერთოს საუნივერსიტეტო აქტივობებში, მიმდინარე პროექტებში და ღონისძიებებში;
- მ) განახორციელოს წესდებითა და საქართველოს კანონმდებლობით მისთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

მუხლი 3. სტუდენტის ვალდებულებები

სტუდენტი ვალდებულია:

- ა) დაიცვას უნივერსიტეტის მოქმედი წესები - წესდება, შინაგანაწესი, ეთიკის კოდექსი და უნივერსიტეტში დადგენილი სხვა რეგულაციები. ამ დოკუმენტებში შესული ნებისმიერი ცვლილება წარმოადგენს მათ განუყოფელ ნაწილს და სტუდენტი ვალდებულია დაიცვას და ინფორმირებული იყოს ზემოთ აღნიშნული წესებისა და მათში შესული ცვლილებების შესახებ, რომელიც განთავსებულია უნივერსიტეტის ვებგვერდზე და სტუდენტისთვის ხელმისაწვდომ ადგილებზე;
- ბ) გაუფრთხილდეს უნივერსიტეტის რეპუტაციას და პრესტიჟს, არ გაავრცელოს გადაუმოწმებელი ინფორმაცია უნივერსიტეტის შესახებ;
- გ) სრულად და დროულად გადაიხადოს სწავლის საფასური;
- დ) დაესწროს ლექციებს, ლაბორატორიულ, პრაქტიკულ და სხვა სახის მეცადინეობებს, შეასრულოს საგანმანათლებლო პროგრამით და მისი კომპონენტებით გათვალისწინებული სამუშაოები, მონაწილეობა მიიღოს შუალედურ შეფასებებსა და გამოცდებში;
- ე) გაუფრთხილდეს და რაციონალურად გამოიყენოს უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, საინფორმაციო, საბიბლიოთეკო და სხვა რესურსები და საშუალებები;
- ვ) მისამართ(ებ)ის ან მათი რომელიმე მონაცემის ცვლილების შესახებ დროულად აცნობოს უნივერსიტეტს;
- ზ) დროულად დააბრუნოს ან ანაზღაუროს მის სახელზე გამოყენებული საბიბლიოთეკო რესურსები: წიგნები ან/და აუდიო/ვიდეო/ვიზუალური მასალები.
- თ) რეგისტრირდებოდეს/ერთვებოდეს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემებსა და პლატფორმებზე, აგრეთვე მონაწილეობდეს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ გამოკითხვებში/შეფასებებში;
- ი) მუდმივად ეცნობოდეს უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსებულ ინფორმაციას და ასრულებდეს უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილ მოთხოვნებს;
- კ) სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები.

მუხლი 4. უნივერსიტეტის უფლებები

უნივერსიტეტს უფლება აქვს:

- ა) მოითხოვოს სტუდენტისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება;
- ბ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით დაამუშაოს, შეინახოს და გადასცეს სტუდენტის შესახებ პერსონალური ინფორმაცია.

მუხლი 5. უნივერსიტეტის ვალდებულებები

უნივერსიტეტი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს სტუდენტის სასწავლო მომსახურება;
- ბ) უზრუნველყოს სტუდენტის მიმართ სამართლიანი და თანასწორი მოპყრობა, ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობა და სტუდენტის სამართლიანი შეფასება;
- გ) საგანმანათლებლო პროგრამით დადგენილი მოთხოვნების შესრულების საფუძველზე მიანიჭოს კურსდამთავრებულს პროგრამით გათვალისწინებული კვალიფიკაცია და გასცეს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი – დიპლომი და დიპლომის დანართი;
- დ) უზრუნველყოს შიდა საუნივერსიტეტო სამართლებრივი აქტების საჯაროობა და ხელმისაწვდომობა უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე ინფორმაციის განთავსებით;
- ე) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტუდენტის მოთხოვნის შესაბამისად, მიაწოდოს მას ამომწურავი ინფორმაცია, თუ ეს ინფორმაცია არ არის კონფიდენციალური (არასაჯარო);
- ვ) დაიცვას სტუდენტის პირადი საიდუმლოების კონფიდენციალურობა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
- ზ) სრულად და ჯეროვნად შეასრულოს ამ ხელშეკრულების პირობები.

მუხლი 6. სწავლის საფასურის ოდენობა და გადახდის წესი

6.1. სწავლის ერთი წლის საფასური, როგორც წესი, განისაზღვრება **2250 (ორი ათას ორას ორმოცდაათი)** ლარის ოდენობით. საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 180 კრედიტს.

6.2. იმ შემთხვევაში, როდესაც საგანმანათლებლო პროგრამის ან სტუდენტის ინდივიდუალური გეგმის თავისებურებების გათვალისწინებით წლიური კრედიტების რაოდენობა ნაკლებია ან აღემატება 60 კრედიტს (მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა), სწავლის საფასურის ოდენობა და გადახდის წესი დგინდება სტუდენტთან გაფორმებული შესაბამისი დამატებითი ხელშეკრულებით;

6.3. სტუდენტი პირველი სასწავლო წლის პირველი სემესტრის სწავლის საფასურს იხდის წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი სამუშაო დღის ვადაში, ხოლო მომდევნო სემესტრის სწავლის საფასურს – არაუგვიანეს მეორე სემესტრის დაწყებამდე;

6.4. გარდა ამ მუხლის 6.3. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ყოველი მომდევნო სასწავლო წლის დაწყებამდე სტუდენტი იხდის ერთი წლის სწავლის საფასურის არანაკლებ $\frac{1}{4}$ -ს, მეორე მეოთხედს არაუგვიანეს 1 დეკემბრისა, მესამე მეოთხედს არაუგვიანეს მეორე სემესტრის დაწყებამდე და ბოლო მეოთხედს – არაუგვიანეს 1 ივნისისა;

6.5. სწავლის საფასურის გადახდისას დანიშნულებაში აუცილებლად უნდა მიეთითოს სტუდენტის პირადი ნომერი.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. მხარეები პასუხისმგებელი არიან ერთმანეთის წინაშე, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობით წარმოშობილი ზიანისთვის, თუ იგი დაუძლეველი ძალის მოქმედებით არ იყო გამოწვეული;

7.2. სტუდენტს ეკისრება სრული მატერიალური პასუხისმგებლობა მისი ქმედებით უნივერსიტეტისათვის მიყენებულ ზიანზე/ზარალზე და ვალდებულია სრულად აანაზღაუროს ასეთი ზიანი/ზარალი;

7.3. სტუდენტის მიერ, უნივერსიტეტის შინაგანაწესის, ეთიკის კოდექსის ან/და უნივერსიტეტში დადგენილი რეგულაციების მოთხოვნების შეუსრულებლობის/დარღვევის შემთხვევაში, უნივერსიტეტი უფლებამოსილია გამოიყენოს დისციპლინური პასუხისმგებლობის დადგენილი ზომები.

მუხლი 8. განსაკუთრებული პირობები

8.1. სწავლის საფასურის გადახდის ვადების დარღვევის შემთხვევაში, სტუდენტს არ მიეცემა უნივერსიტეტში შესაბამის სასწავლო კურსებზე/პროგრამის კომპონენტებზე რეგისტრაციის უფლება და უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულ ვადაში, ელექტრონულ უწყისში სათანადო გაფრთხილების შემდგომ, უჩერდება სტუდენტის სტატუსი;

8.2. სტუდენტს სტატუსის აღდგენის შესახებ განცხადების წარმოდგენა შეუძლია შესაბამისი სემესტრის დაწყებამდე არაუგვიანეს 2 კვირისა;

8.3. თუ სტუდენტმა პროგრამის გეგმურ ვადაში ვერ დააგროვა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული (კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭირო) რაოდენობის კრედიტები, უფლება აქვს განცხადებით მიმართოს რექტორს დამატებით სემესტრში/სემესტრებში სწავლის გაგრძელების თაობაზე. თუ სტუდენტი არ ისარგებლებს ამ შესაძლებლობით, მას შეუჩერდება სტუდენტის სტატუსი წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

8.4. სტუდენტი, რომელიც ამ მუხლის 8.3. პუნქტით გათვალისწინებულ დამატებით სემესტრში/სემესტრებში ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული (კვალიფიკაციის მინიჭებისათვის საჭირო) რაოდენობის კრედიტებს, შეუწყდება სტუდენტის სტატუსი წინასწარი გაფრთხილების გარეშე.

8.5. სტუდენტს სტატუსი შეიძლება შეუჩერდეს/შეუწყდეს წესდებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში;

8.6. წესდების 39-ე მუხლის მე-7 პუნქტის „ბ“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში (ორსულობა, მშობიარობა, ბავშვის მოვლა ან ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესება; უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა; პირადი განცხადება), სტატუსის შეჩერების მოთხოვნით, სტუდენტმა განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს სასწავლო პროცესის დაწყებიდან არაუგვიანეს 6 კვირის განმავლობაში. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ იგი კარგავს გადახდილი სწავლის საფასურის მომდევნო სემესტრებში გამოყენების უფლებას;

8.7. სწავლის საფასურის გადაუხდელობის შემთხვევაში, სტუდენტის სტატუსის შეჩერება არ ათავისუფლებს სტუდენტს სწავლის საფასურის გადახდის ვალდებულებისაგან;

მუხლი 9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და შეწყვეტის პირობები

9.1. ხელშეკრულება ძალაშია მასზე ორივე მხარის მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებამდე – არაუმეტეს საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური ვადისა;

9.2. ხელშეკრულებაში ცვლილებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არ აქვს;

9.3. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით;

9.4. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა დასაშვებია მხარეთა შეთანხმებით, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ან საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

მუხლი 10. დავის გადაჭრის წესი

მხარეთა შორის წარმოშობილი დავა უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. ურთიერთშეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, მხარეებს შეუძლიათ დავის გადასაწყვეტად მიმართონ სასამართლოს.

მუხლი 11. დამატებითი პირობები

11.1. სტუდენტს უნივერსიტეტის მიერ გაგზავნილი შეტყობინება მიღებულად ჩაეთვლება უნივერსიტეტის მიერ მისთვის გახსნილ საუნივერსიტეტო ელექტრონულ ფოსტაზე გაგზავნიდან მე-2 დღეს, ასევე სტუდენტის მიერ ხელშეკრულების გაფორმების დროს ხელშეკრულებაში დაფიქსირებულ საფოსტო მისამართზე გაგზავნისას, მიუხედავად გზავნილის მიღების არდადასტურებისა;

11.2. შეტყობინება მიღებულად ითვლება იმ შემთხვევაშიც, თუ უნივერსიტეტს შეტყობინება დაუბრუნდება გაგზავნილ მისამართზე/საკონტაქტო მონაცემებზე შეტყობინების ადრესატის ადგილსამყოფელის არარსებობის გამო, ან თუ ადრესატი უარს განაცხადებს შეტყობინების მიღებაზე, ან თავს აარიდებს მის მიღებას;

11.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით სტუდენტი ადასტურებს, რომ:

- ა) ამ ხელშეკრულების დადებამდე უნივერსიტეტმა უზრუნველყო მისთვის ყველა იმ დოკუმენტის გაცნობა, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ ნაწილს;
- ბ) მისთვის ცნობილია ხელშეკრულებაში მითითებული დასაგროვებელი კრედიტების რაოდენობა, პროგრამის მოთხოვნები, დამატებით ვადაში სწავლის ხანგრძლივობა, კვალიფიკაციის მინიჭების პირობა, უნივერსიტეტში მოქმედი ქცევის წესები და დარღვევისთვის დადგენილი სახდელები, უნივერსიტეტში მოქმედი სტუდენტის სტატუსის შეჩერების, აღდგენის და შეწყვეტის საფუძვლები და პროცედურები;
- გ) თანახმაა უნივერსიტეტმა დაამუშაოს მისი პერსონალური მონაცემები მოქმედი კანონმდებლობის დაცვით, ინფორმაცია მისი ვინაობის შესახებ განათავსოს ვებგვერდზე, ოფიციალური დოკუმენტაციის შედგენისას და რეესტრის წარმოებისას მიუთითოს სწავლასთან, სტუდენტის სტატუსთან და პირად მონაცემებთან დაკავშირებული სხვა ინფორმაცია (პირადი ნომერი, პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ნომერი, დაბადების თარიღი, მისამართი, საკონტაქტო ტელეფონის ნომერი, ელ.ფოსტა, განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის და ხელშეკრულების მონაცემები და სხვ);
- დ) მისთვის ცნობილია უნივერსიტეტის ტერიტორიაზე და შენობა-ნაგებობებში (გარდა სამედიცინო დახმარების პუნქტის, გამოსაცვლელი და ჰიგიენისათვის განკუთვნილი ფართისა) წესრიგის, უსაფრთხოების, სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ვიდეოკონტროლის მოწყობილობების გამოყენების შესახებ;

11.4. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად და ინახება მხარეებთან.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

<p>სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი</p> <p>რექტორი დავით გურგენიძე</p> <p>იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, 0160. მ.კოსტავას ქ.№77 საიდენტიფიკაციო კოდი: 211349192 საბანკო რეკვიზიტები: მიმღები ბანკი: სახელმწიფო ხაზინა მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკის კოდი: TRESGE22 მიმღების ანგარიში: სახაზინო კოდი 708977289 ელ.ფოსტა: rectoroffice@gtu.ge, info@gtu.ge ვებგვერდი: www.gtu.ge</p> <p>რექტორის ხელმოწერა _____</p>	<p>სტუდენტი _____ (სახელი და გვარი)</p> <p>პირადი ნომერი _____ იურიდიული მისამართი _____</p> <p>ფაქტობრივი მისამართი _____ ტელ: _____ ელ.ფოსტა: _____</p> <p>სტუდენტის ხელმოწერა _____</p>
--	---

სტუდენტის წარმომადგენლის ხელმოწერა: _____